1 მარტი

შაბათი

2025

რიგითი ჟამის VII კვირა [III], მწ

ზირ 17,1-15; ფს 102; მარ 10,13-16

ხელები დაასხა და აკურთხა ისინი მარ 10,16

იესო ხარობს, როდესაც მშობლებს მასთან მიჰყავთ თავიანთი შვილები; სიხარულით იკრავს მათ გულში და ლოცავს. ისინიც გულს უხსნიან მის სიყვარულს: მათნაირებზე იმეფებს იესო, რამეთუ თავიანთი უბრალოებითა და თავმდაბლობით უფლის მსახურები გახდებიან.

ზირ 27,4-7; ფს 91; 1კორ 15,54-58; ლკ 6,39-45

მოწაფე მასწავლებელზე მეტი არ არის ლკ 6,40

იესომ განაცხადა ნეტარებანი, მტრის სიყვარული, გულმოწყალება, პატიება. მან უწყის, რომ მოძღვარი და უფალია, და ჭეშმარიტად ძალუძს ამის გაცხადება, რამეთუ მამისაგან მოდის. ბრმა ისე მიჰყავს, რომ თავიდან ააცილოს თხრილში ჩავარდნა, ძალუძს ჩვენი თვალიდან ბეწვი ამოიღოს, რადგან საკუთარში დირე არა აქვს! ნეტარ არიან ისინი, ვინც თავმდაბლობით მიუყვებიან უფალო შენს გზებს!

3 მარტი

ორშაბათი 2025

რიგითი ჟამის VIII კვირა [IV], მწ

ზირ 17,24-29; ფს 31; მარ 10,17-27

დედის დღე

იესო დააკვირდა მას და შეუყვარდა

მარ 10,21

იესო, შენ ყოველი კაცი გიყვარს და შენს მზერაში აქცევ მათ. შენი სამეფოს მსახური ხდება ყველა, ვინც შენსკენ ეშურება: ცოდვას არ დაუღუპია იგი. მისთვის კმაროდა, რომ გული დაეცალა მომხვეჭელი სიყვა-რულიდან და შენი სიყვარულით აღევსო „კეთილო მოძღვარო“. ამ საიუბილეო წელს, უფალო ჩვენო, შენთან მტკიცე კავშირით მოგანიჭებთ სიხარულს.

4 მარტი

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის VIII კვირა [IV], მწ

წმ. კაზიმირი, ლიეტუვის თავადი, +1484 გროდნოში

ზირ 35,1-15; ფს 49; მარ 10,28-31

*რვენ შენ ვამოვ-ეძებ*ენ მარ 10,28

საამურია იმის გაგება, რომ ვიღაც იესოს
გზას მიუყვება! მაგრამ, არის კი ასე? პეტრეც
მიჰყვებოდა, თუმცა ჯილდოს მოლოდინით.
მისი სიყვარული არ იყო უანგარო. თუმცა
იესო მაინც აიმედებს მას: იმაზე დიდ ჯილდოს
მიიღებს, ვიდრე თავად წარმოედგინა,
თუნდაც ეს გზა სიკვდილს უქადდეს!

5 მარტი

ოთხშაბათი 2025

ნაცრის დაყრის ოთხშაბათი, [ს], [IV], ი

იოელ 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20 - 6,2; მთ 6,1-6.16-18

მძიმე მარხვის დღე

ილოცე დაფარულში მეოფი შენი მამისადმი მთ 6,6

დიდმარხვის ჟამს ვიწყებთ, როდესაც ეკ-ლესია კეთილ საქმეთა შესრულების გზებზე დაგვაფიქრებს. ერთ-ერთი მათგანია ლოცვა. ნამდვილი იქნება ჩვენი ლოცვა, თუკი მას იესოსგან ვისწავლით, ვინც განმარტოებით ლოცულობდა მამასთან ერთად. ჩვენც მივე-ახლებით მამას, ვინც ჩვენში ჩაღვრის თავის სიყვარულს და განგვაახლებს.

6 მარტი

ხუთშაბათი
2025

ხუთშაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

(22.II) წმმ. ცხრანი ყრმანი კოლაელნი, VIს, წამებულნი

რჯლ 30,15-20; ფს 1; ლკ 9,22-25

კაცის ძის ხვედრია, მრავალი ტანჯვა აიტანოს ლკ 9,22

ეკლესია – დედა ჩვენი, დიდმარხვის გზის დასაწყისში მოგვმადლის ამ სიტყვას, იესოს გამოცხადებას. ცხოვრების იმ გზაზე, რასაც დიდმარხვა წარმოადგენს და რასაც ჭეშ-მარიტ საუკუნო აღდგომამდე მივყავართ, იესოსთან ერთად შევძლებთ ტანჯვას, თავი-სუფლად, სევდის გარეშე.

7 მარტი

პარასკევი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

პარასკევი
2025

წმ. პერპეტუა და ფელიციტა, წამებულნი
+203 კართაგენში

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

ის იტყვის: „აქა ვარ!“ ეს 58,9

უფალი ხედავს, როგორ მარხულობენ ადამიანები. ამიტომაც უბრძანებს წინასწარმეტყველს, რომ იყვიროს: „ეს არ არის მარხვა!“. ამით უნდოდა ეთქვა: გულს მირევთ! თავის მოსაწონად მარხულობთ, მაგრამ ვხედავ, რომ ერთმანეთი არ გიყვართ, მოწყალებას არ აძლევთ მშიერ-მწყურვალსა და ჩაგრულს. მაშინ, როდესაც მოინანიებთ, მე გიპასუხებთ: „აჰა, აქა ვარ“ და მე, მაცხოვარი, გაგახარებთ თქვენთან და თქვენთვის ყოფნით!

8 მარტი

შაბათი 2025

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

წმ. იოანე ღმრთისა, ჰოსპიტალიერ ძმათა დამაარსებელი, +1550 გრენადაში

ეს 58,9-14; ფს 85; ლკ 5,27-32

ქალთა საერთაშორისო დღე

ჩინ ჩაგიძღვება უფალი მუდამ ეს 58,11

დიდმარხვა, ჩვენი ცხოვრების აღორძინების, განახლების ჟამია ღმერთისეული ჩანაფიქ-რით. ჩვენ, ცოდვილებს მოგვიწოდებს, რომ მივიღოთ მისი სიყვარული და პატიება. სურს ხელი ჩაგვჭიდოს და სხვისკენ გაშვერილი თითი მოყვასებზე გულუხვ მოწყალებად გაწ-ვდილ ხელად გადააქციოს.

9 მარტი

კვირა 2025

დიდმარხვის I კვირადღე, «გ», [I], ი

[წმ. ფრანცისკა რომაელი, ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი, +1440 რომში]

რჯლ 26,4-10; ფს 90; რომ 10,8-13; ლკ 4,1-13

„უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი“ ლკ 4,8

გუშინ მოვისმინეთ დაპირება: „უფალი გაგიძღვებათ მარად“. დღეს მის სიყვარულს ვპასუხობთ, მისდამი თაყვანისცემით, ანუ ყველა ჩვენს სურვილზე, ფიქრზე, მოტივაციაზე, გრძნობაზე, ეჭვზე მაღლა მას ვაყენებთ... რამეთუ იგი მამაა ჩვენი და ჩვენ, იესოს კვალდაკვალ და იესოსთან ერთად, როგორც მისი საყვარელი ძენი, დღენიადაგ მის სიყვარულში ვართ, რათა შევიცნოთ და დავძლიოთ ყოველი ცდუნება.

10 მარტი

ორშაბათი
2025

დიდმარხვის ჟამის I კვირა [I], ი

ლევ 19,1-2.11-18; ფს 18; მთ 25,31-46

მოდით, რომი მამის კურთხეულნო მთ 25,34

რარიგ გწადია, იესო, ამ სიტყვების
წარმოთქმა, ზეცა გახსნა და გულში
ჩაიკრა ყველა, როდესაც „ყველა ხალხი
შეიკრიბება შენს წინაშე“! ხარობ, როდესაც
შეჭირვებულზე გაცემულ სიყვარულს ხედავ.
შენს მიმართ გაცემულ სიყვარულად აღიქვამ
მას, თუნდაც ამ სიყვარულის გამცემმა ეს არ
იცოდეს, რამეთუ ვერ შეუცნიხარ.

11 მარტი

სამშაბათი
2025

დიდმარხვის ჟამის I კვირა [I], ი

ეს 55,10-11; ფს 33; მთ 6,7-15

წმიდა იესოს სახელი შენი მთ 6,9

ჩემშიც იბადება მწველი სურვილი, რომ ცხოვრებაში შევძლო მამის სიწმინდის ხილვა, ვისაც სწადია ყოველი კაცის სიკეთე, „ცუდის და კარგის“ და მათი შეკრება თავისი ძის – იესოს ირგვლივ. სურს ჩვენშიც იხილოს თავისი აზრები, ჩვენგან ისმინოს კუთვნილი სიტყვები და ჩვენს საქმეებში შეიგრძნოს თავისი სიყვარული.

12 მარტი

ოთხშაბათი
2025

დიდმარხვის ჟამის I კვირა [I], ი

იონ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

აქ არის სოლომონზე დიდი ლკ 11,31

იესომ კარგად უწყის, რომ წმინდა წერილში ყოველივე მასზე მეტყველებს: მისი ხატებაა თვით ბრძენი სოლომონიც, მშვიდობის მეფე. ოღონდაც ელის, რომ ჩვენს ცხოვრებაში სინათლეს, სიბრძნეს და მშვიდობას მოიტანს: ელის ჩვენი ერთგულების აღზევებას! მადლობა, იესო, რამეთუ პასუხს სცემ ჩემს კითხვებს, ყველაზე სიღრმისეულთ და შენს სიმშვიდეს მგვრი.

13 მარტი

ხუთშაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის I კვირა [I], ი

ესთ 4,17 n.p-r.aa-bb.gg-hh; ფს 137; მთ 7,7-12

ეამო-ფლიონდი რემი შეჭირვების დღეს ესთ 4,17r

დედოფალი ესთერი, საფრთხეში მყოფი ხალხისათვის წარმოთქმულ ლოცვაში აბრაამის ღმერთს განადიდებს. ღელავს და სიკვდილის მოახლოებას გრძნობს, ამიტომაც, მდაბალი გულით და სრულად ენდობა უფალს. უფალიც შეისმენს მის ლოცვას, მარხვის დღეებით და შეუპოვრობით გამზადებულს, და თავის მხარდაჭერას გამოუცხადებს.

14 მარტი

პარასკევი
2025

დიდმარხვის ჟამის I კვირა [I], ი

ეზეკ 18,21-28; ფს 129; მთ 5,20-26

ჯერ წადი და შენს ძმას შეურიგდი მთ 5,24

უფალთან ზიარება გულისხმობს ძმებთან და ყველა მის შვილთან თანაზიარებას. ოჯახშიც ასეა: დედ-მამა ვერ იგრძნობს სრულყოფილ სიყვარულს და თანაზიარებას ერთმანეთთან შუღლში მყოფი შვილებიდან. „ჯერ წადი და შეურიგდი შენს ძმას“. დიდმარხვის ჟამის საკითხავები პირველი ნაბიჯის გადადგმისკენ მოგვიწოდებენ... მაშინ კი ყველა იგალობებს: ალელუია!

15 მარტი

შაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის I კვირა [I], ი

რჯლ 26,16-19; ფს 118; მთ 5,43-48

რათა იყოთ თქვენი მამის ძენი მთ 5,45

შვილები მშობლებიდან იღებენ ბიოლოგიურ სიცოცხლეს და მათ ემსგავსებიან. მეც ასე ვიქნები ღმერთის სრულყოფილი შვილი, როცა მის ცხოვრებას გავიზიარებ და მას ვემსგავსები უანგარო პატიებით და სიყვარულით, განურჩევლად ყოველი კაცისადმი. მადლობა, იესო, მოწყალებისთვის, შენს კვალდაკვალ მეც შემიძლია ღვთის შვილად ცხოვრება!

16 მარტი

კვირა

2025

დიდმარხვის II კვირადღე, «ბ», [II], ი

[(3.III) წმ. იოანე IV (V) ოქროპირ კათალიკოსი, +1048]

დაბ 15,5-12.17-18; ფს 26; ფილიპ 3,17 - 4,1; ლკ 9,28-36

როცა ლოცულობდა,
მისი სახის იერი შეიცვალა ლკ 9,29

დიდმარხვის მეორე კვირას იესოს ფერისცვალებას ვუმზერთ. წელს ლუკა, წყალობისა და ლოცვის მახარობელი მოგვითხრობს მასზე. „როცა ლოცულობდა“: სწორედ ლოცვის ჟამს, ჭეშმარიტი, მდაბალი, გულღია ლოცვით ძალუძს მამას ჩვენი „სახის“ შეცვლა: გზა და გზა ნათელს მოგვფენს და სიხარულს მოგვგვრის.

17 მარტი

ორშაბათი
2025

დიდმარხვის ჟამის II კვირა [II], ი

წმ. პატრიციუსი, ეპისკოპოსი, ირლანდიის მოციქული, +461

დან 9,4-10; ფს 78; ლკ 6,36-38

მამათქვენი ტულმოწყალეა ლკ 6,36

მოწყალეა, ვისაც გულთან მიაქვს ღატაკის გასაჭირი. ჩვენ გვყავს ზეციერი მამა, რომელიც მიწიერი დედ-მამის მსგავსად ხედავს ჩვენს სიღატაკეს, ხედავს ჩვენს ტანჯვას იმ ეგოიზმისა და ამპარტავნების გამო, რასაც ჩვენ, ადამის შვილნი, გულით ვატარებთ. ვუყვარვართ და სურს გვანუგეშოს; უშურველად გაიღებს ყველაფერს, რაც რამ აბადია – იესოს, ეკლესიაში მყოფსა და მოქმედს.

18 მარტი

სამშაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის II კვირა [II], ი

წმ. კირილე, იერუსალემის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +386

ეს 1,10.16-20; ფს 49; მთ 23,1-12

ერთია თქვენი წინამძღვარი - ქრისტე მთ 23,10

იესო ბრბოსთან და მოწაფეებთან საუბრობს, ის ყველას ესაუბრება – მეც, ჩვენც, ოჯახებს, მრევლს: „ერთია თქვენი წინამძღოლი, ქრისტე“. მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ სიხარულს, მშვიდობას და ყოველგვარ სიკეთეს, როდესაც ის გვეყოლება მეგზურად და მას დავემორჩილებით.

მადლობა, იესო, კათოლიკე ეკლესიის, კატექისტებისა და მღვდლების მსახურებისთვის და იმისთვის, რომ მათი მეშვეობით მტკიცედ მიგვიძღვი ჩვენს ცხოვრებისეულ არჩევანში – შენი სამეფოს აგების საქმეში.

19 მარტი

ოთხშაბათი 2025

წმ. იოსები, ნ. ქ. მარიამის მეუღლე **დდ, [ს], თ**

2მეფ7,4-5.12-14.16; ფს88; რომ4,13.16-18.22;
მთ1,16.18-21.24 ან, ლკ2,41-51

არლის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მამარქმის სახლში უნდა ვიყო- ლკ 2,49

მარიამისა და იოსებისათვის ნათქვამი იესოს ეს სიტყვები, ზეციერ მამასთან მის ძლიერ კავშირზე მეტყველებენ. ცხადყოფენ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობას. შვილები ყოველთვის ღვთის საჩუქარია. მშობლები მოუსმენენ მას, რათა დაეხმარონ მამის ნების აღმოჩენაში და მისი ნების შესრულებაში. შვილების ზრდასთან ერთად, მშობლებს სულ უფრო მეტად ეკისრებათ ძვირფასი მისია. იოსები ამას ლოცვით გაჯერებული დუმილით ასრულებდა.

20 მარტი

ხუთშაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის II კვირა [II], ი

იერ 17,5-10; ფს 1; ლკ 16,19-31

კურთხეულია კაცი, რომელიც უფალსა დანდობილი *იერ 17,7*

მამისთვის მოსაწონი და მის გულში მყოფია არა ის, ვინც კაცთათვის მოსაწონ დიად საქმეებს სჩადის, თუნდაც ეკლესიაში, არამედ კურთხეულია ის, ვინც „უფალს ენდობა“: მის სიყვარულს ეზიარება, მის ხელში იარაღი იქნება. სახარებაში იესო ღარიბი ლაზარეს ამბავს მოგვითხრობს, რომელიც წლების მანძილზე ენდობოდა უფალს და აწ ყველაზე ჭეშმარიტი კურთხევით ხარობს!

21 მარტი

პარასკევი

2025

დიდმარხვის ჟამის II კვირა [II], ი

დაბ 37,3-4.12-13.17-28; ფს 104; მთ 21,33-43.45-46

უფლისაგან მოხდა ეს მთ 21,42

ზოგჯერ ძნელად ვიმეორებთ ამ ქებას. თუმცა ღმერთი ჩვენი ჭეშმარიტი მამაა: ჩვენი ცხოვრების ყოველი წამი უწყის, თვით ის, რაც „ვაებად“ გვიჩანს; ყოველივე მისი ხელიდან გვებოძება. როდესაც ამ ნდობას ვუცხადებთ, მამის ფარული სიყვარული ცხადდება: როგორც ძმებისგან გაყიდული იოსები მიხვდა, რომ უბედურება კურთხევად შემოუბრუნდათ, იესომაც, ხალხის თავკაცთა მიერ ჯვარცმულმა, ასევე უბოძა მათ თავისი სისხლით გადარჩენის შესაძლებლობა.

22 მარტი

შაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის II კვირა [II], ი

მიქ 7,14-15.18-20; ფს 102; ლკ 15,1-3.11-32

აღდგები და წავალ მამაჩემთან ლკ 15,18

იგავში მოყვანილი ძის მსგავსად, მეც ვიტანჯები, როცა მამის სიყვარულს ვშორდები, როცა სხვების განსჯასა და ეგოიზმში ვცხოვრობ უკმაყოფილო. მაგრამ, ძმათა და წმიდათა ლოცვით და სინანულით, მეც მიბრუნდება სულიწმიდა, მემატება გამბედაობა და ნდობა, რათა კვლავაც ვჭამო მამის მოწყალების პური.

23 მარტი

კვირა 2025

დიდმარხვის III კვირადღე, «გ», [III], ი

[(10.III) წმ. ღირსი იოანე ხახულელი, მონაზონი, X-XIსს;
წმ. ტურიბიუს მონგროვეხოელი, ლიმის ეპისკოპოსი, +1606]

გამ 3,1-8.13-15; ფს 102; 1კორ 10,1-6.10-12; ლკ 13,1-9
(ან, "ა" წლის საკითხავები)

ბატონო, წელსაც დატოვე ლკ 13,8

უსაზღვროდ კეთილი და მომთმენია მამა! მას შემდეგ, რაც გვიბოძა თავისი ძე – ჯვარ-ცმული და აღმდგარი, „წელსაც“ გვიტოვებს მას. ხოლო იესო, თავის ეკლესიაში მყოფი, ყოველი ჩვენგანისთვის იღვწის: სასოებს ნაყოფის ხილვას, რათა მალე დამკვიდრდეს ჩვენში. მაშინ სიკვდილი აღარ გვექცევა ვაებად, ისევე როგორც პილატეს ჯარისკაცთა მიერ ტაძარში მოკლულებს თუ სილოამის კოშკის ნანგრევების ქვეშ დარჩენილებს.

24 მარტი

ორშაბათი
2025

4მეფ 5,1-15; ფს 41-42; ლკ 4,24-30

წამებულ მისიონერთა ხსოვნისათვის
ლოცვისა და მარხვის დღე

მან ეაიარა მათ შორის და წავიდა. ლკ 4,30

იესო, შენ გსურდა ნაზარეთის ახლობლებისთვის გეწილადა მამისგან ბოძებული წყალობა, რის შესახებაც ახლახან წაიკითხე ესაიაში: „სული უფლისა ჩემზეა...“. მაგრამ მათთვის შენ ისევ „დურგლის ძედ“ დარჩი. არ მოინდომეს შენი შეცნობა, შენი მიღება, უფრო მეტიც, შენი მოკვლა მოიწადინეს. ყოველივეს მამის გულს მიანდობ და მხოლოდ მასთან და შენს მოწაფეებთან ერთად აგრძელებ შენს გზას.

25 მარტი

სამშაბათი

2025

უფლის ხარება, დდ, [ს],თ

(12.III) წმ. მეფე დემეტრე თავდადებული, წამებული +1289

ეს 7,10-14; 8,10ბ; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

ქიათურის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

უზენაესის ძედ იწოდება ლკ 1,32

იესო, შენ უზენაეს ძედ ეუწყე მარიამს, ღვთის ძედ, ცისა და მიწის უფლად. მისგან შეისხამ ხორცსა და სისხლს, მის მუცლად დაივანებ, მას ჩასჭიდებ შენს პაწია ხელებს და ასე გადადგამ პირველ ნაბიჯებს. თაყვანს გცემ იესო, ჩემო ღმერთო, შენ ისე უსაზღვროდ შეიყვარე ადამიანი, რომ მის ძედ იქეცი, ინებე რომ დაგჭირვებოდა იგი.

26 მარტი

ოთხშაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის III კვირა [III], ი

რჯლ 4,1.5-9; ფს 147; მთ 5,17-19

მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)

უფალი, ჩვენი ღმერთი, ახლოა რჯლ 4,7

დიახ, უფალი, ჩვენი ღმერთი და მამა, ყოველთვის ახლოა ჩვენთან, როცა მოვუხმობთ. ამიტომაც ვისმენთ და ვიცავთ მის სიტყვებს. ჩვენი ცხოვრება განვაცხადებს მის სიბრძნესა და მის სიკეთეს და, ამგვარად, ვინც ჯერ არ იცნობს მას, ძებნას დაუწყებს!

27 მარტი

ხუთშაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის III კვირა [III], ი

იერ 7,23-28; ფს 94; ლკ 11,14-23

მოგიახლოვდათ ღვთის სასუფეველი ლკ 11,20

იესომ ეშმაკი განდევნა მუნჯისგან და მუნჯმაც ენა ამოიდგა: მოაწია ღმრთის სასუფეველმა! სასუფევლის მკვიდრი ილაპარაკებს და აუწყებს მამის სიყვარულს, მის სიყვარულს ამოიცნობს ყოველ მოვლენაში; შეძლებს მის განდიდებას და ძმებთან ერთად თანაზიარების სიხარულში იცხოვრებს.

28 მარტი

პარასკევი
2025

დიდმარხვის ჟამის III კვირა [III], ი

ოს 14,2-10; ფს 80; მარ 12,28-34

უფალი, ჩვენი ღმერთი ერთადერთი უფალია მარ 12,29

ასე პასუხობს იესო მწიგნობარს, ვინც ჰკითხა მას, რომელია პირველი მცნებაო, პირველი, რომელსაც ყველა დანარჩენი ემყარება. იესოს ერთი პასუხი აქვს, ჭეშმარიტი და გამამხნევებელი. მცნებების დაცვით ვპასუხობთ მის სიყვარულს, ვინც პირველმა შეგვიყვარა. ჩვენს პიროვნულ, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას იმ ერთადერთი უფლისადმი სიყვარული წარმართავს, რომელიც იესოში გაცხადდა.

29 მარტი

შაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის III კვირა [III], ი

(16.III) წმმ. ღირსნი პიმენ სალოსი და ანტონ მესხი, XIIIს

ოს 6,1-6; ფს 50; ლკ 18,9-14

ვინ თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება ლკ 18,14

ასეთია იესოს ერთი ლამაზი იგავის დასასრული: ორი კაცი ტაძარში სალოცავად შევიდა; ერთი თავის კეთილ საქმეებს წარუდგენს ღმერთს, ოღონდ, სიამაყით, მოყვასის დამცირებით; ხოლო მეორე, ზევითაც ვერ ბედავდა აღეპყრო თვალნი, საკუთარ უბადრუკობას აღიარებს და წყალობას ითხოვს. მადლობა, იესო: შენ შეგიძლია შენი მოწაფეების ცხოვრებაში ჩაერიო და „აღამაღლო ისინი“, როცა მათში მდაბალ გულს ხედავ.

30 მარტი

კვირა

2025

დიდმარხვის IV კვირადღე, «გ», [IV], 3

იესო 5,9.10-12; ფს 33; 2კორ 5,17-21; ლკ 15,1-3.11-32
(ან, "ა" წლის საკითხავები)

ცოდვილებს ღებულობს და მათთან ჭამს ლკ 15,2

იესოს გული მამის მოწყალე გულს გავს: მხურვალედ სწადია განშორებული კაცის დაბრუნება; ხელებგაშლილი მოელის. იესო იღებს ცოდვილებს, რომლებიც „მასთან მივიდნენ და უსმენდნენ მას“. დიდია მისი სიხარული, რამეთუ სწორედ მათთვის, ანუ თითოეული ჩვენგანისთვის განკაცდა, მოკვდა და აღდგა! დღეს ნამდვილი დღესასწაულია: სიხარულს მოუცავს ცა და მიწა!

31 მარტი

ორშაბათი 2025

დიდმარხვის ჟამის IV კვირა [IV], ი

ეს 65,17-21; ფს 29; იო 4,43-54

წადი, ცოცხალია შენი შვილი

იო 4,50

იმ ჯარისკაცმა ირწმუნა ეს სიტყვა და სახლში წავიდა... დიდი სიხარულით იხილა იესოს სიტყვის ახდენა. იესოს ყოველი სიტყვა მადლია, მაშინაც კი, როდესაც მას სულიერი მამა ან მოძმე გასცემს: რწმენის გზაზე სიარულში გვეხმარება, და თავის დროზე, ხელშესახებს ხდის იესოს საქმეს. იგი ჭეშმარიტად ცოცხლობს და კვლავაც სასწაულებრივი გზებით აცხადებს თავის სიყვარულს.